

დანართი გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის მესამე ანგარიშზე.

საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ გიგი უგულავას მიმართ არსებულ საქმეებზე მნიშვნელოვანი ფაქტები დაფიქსირდა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, აღნიშნულის წინადემზარე ანგარიშში ასახვა.

2015 წლის 15 სექტემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ [დაანონსდა](#) გადაწყვეტილების გამოცხადება გიგი უგულავას საქმეზე, თუმცა, წინასწარ გაცხადებულ დროს გადაწყვეტილების გამოცხადება ვერ მოხერხდა. სასამართლოს [განმარტებით](#) აღნიშნულის მიზეზი გადაწყვეტილების ხელმოწერის პროცედურაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მოსამართლე მერაბ ტურავას გამოუცხადებლობა გახდა.

მერაბ ტურავას მხრიდან კეთდებოდა ბუნდოვანი და არადამაჯერებელი განმარტებები მისი გამოუცხადებლობის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ნებისმიერი მოსამართლე კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში და მისი პოზიციის მიუხედავად მოაწეროს ხელი გადაწყვეტილებას, თუმცა მნიშვნელოვანია სასამართლომ საქმის განხილვის პროცესი იმგვარად დაიგეგმოს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მოსამართლის მიერ ამ ვალდებულებების სათანადოდ შესრულება.

2015 წლის 16 სექტემბერს ტურავას მხრიდან გადაწყვეტილების ხელმოწერაზე საბოლოო უარის თქმის შემდეგ, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მისი ხელმოწერის გარეშე მიღებული გადაწყვეტილების გამოცხადების შესახებ.

მიგვაჩნია, რომ მოსამართლემ დამაჯერებლად ვერ განმარტა საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზები, აღნიშნული კი პროცესის გაჭიანურებას ემსახურებოდა.

გიგი უგულავას სარჩელი 9 თვიანი პატიმრობის საკითხის ნაწილში დაკმაყოფილდა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულის დაპატიმრება თანაბრად უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას თითოეულ ბრალდებულთან მიმართებით. შესაბამისად, თითოეული სისხლის სამართლის საქმეზე პატიმრობის 9 თვიანი ზღვრული ვადის გამოთვლისას ამ ვადაში უნდა ჩათვლილიყო ის პერიოდი, რომელიც პირმა ბრალდების შემდეგ პატიმრობაში გაატარა მის მიმართ წარმოებული სხვა საქმის ფარგლებში. აღნიშნული განმარტების მიხედვით, გიგი უგულავას 2015 წლის 15 მარტის განჩინებით შეფარდებული პატიმრობის ვადის გამოთვლისას მას პატიმრობის ვადაში უნდა ჩათვლილიყო 2014 წლის 28 ივლისის (7 ნოემბრის საქმეზე) ბრალდების შემდეგ პატიმრობაში გატარებული პერიოდი. ამასთან სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებდა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის პატიმრობას თუ ამ საქმეზე ბრალის წაყენების ან ბრალის წაყენებისთვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული ქონდა 9 თვე მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლის

სამართლის საქმის ფარგლებში. გიგი უგულავას შემთხვევაში კი მას სხვა საქმის ფარგლებში უკვე გატარებული ჰქონდა წინასწარი პატიმრობის 9 თვე.

საკონსტიტუციო სასამართლოს [გადაწყვეტილება](#) უნდა გამხდარიყო გიგი უგულავას გათავისუფლების საფუძველი. თუმცა ფორმალურად საბოლოო გადაწყვეტილება ბრალდებულ უგულავას წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ საერთო სასამართლოებს უნდა მიეღო. საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებით ადგენს სამართლებრივი ნორმების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს და არა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტას. გარდა ამისა, სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება არ არის მიმართული ერთი კონკრეტული პირის მიმართ, თუნდაც საკონსტიტუციო სარჩელის ავტორის მიმართ, არამედ იგი იდენტურ ვითარებაში მყოფ ნებისმიერ პირს ერთნაირად ეხება. შესაბამისად შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შეცვლილი ნორმატიული შინაარსის შეფარდება ყოველ კონკრეტულ საქმეში ყოველი კონკრეტული ბრალდებულის მიმართ საერთო სასამართლომ უნდა განახორციელოს.

საერთო სასამართლოში საქმის განხილვისას დაუშვებელია პროცესის გაჭიანურება, გათავისუფლებისათვის საჭირო პროცედურები მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში უნდა განხორციელდეს, ამისთვის მიზანშეწონილი იქნებოდა სასამართლოს თავისი ინიციატივით, დაუყოვნებლივ ჩაენიშნა საკითხის განხილვა და არ დალოდებოდა ბრალდებულის შუამდგომლობას. ამასთან ბრალდებულის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების საკითხი საქმის განმხილველ პირველივე მოსამართლეს უნდა განეხილა. რაც გიგი უგულავას შემთხვევაში არ მომხდარა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად,

აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის მიერ დაყენებული [შუამდგომლობის](#) განსახილველად სხდომის ჩანიშვნა რამდენიმე საათის შემდგომ მოხდა, თავის მხრივ სხდომაზე კი ბრალდების მხარე პროცესის გაჭიანურებას ცდილობდა. მათ ჯერ სათადარიგო მოსამართლის აცილება მოითხოვეს, შემდგომ მიმდინარე საქმეზე უკვე ჩანიშნული სხდომის თარიღის ცვლილების თაობაზე განჩინების წარმოდგენა, ბოლოს კი მთლიანად თბილისის საქალაქო სასამართლოს აცილებაც კი მოითხოვეს. მას შემდეგ რაც არცერთი შუამდგომლობა არ დაკამყოფილდა, ბრალდების მხარემ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაცნობად დრო მოითხოვა, მოსამართლემ მათ ამისთვის მხოლოდ 2 საათიანი ვადა მისცა. ბრალდების მხარემ აღნიშნული დრო არაგონივრულად მიიჩნია. თუმცა, სასამართლომ იმავე დღეს გვიან ღამით გიგი უგულავა წინასწარი პატიმრობიდან მაინც გაათავისუფლა. პროკურატურის ქმედებები ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ მათი ერთადერთი მიზანი ბრალდებულ უგულავას პატიმრობაში დატოვება წარმოადგენდა. აღნიშნული კი კიდევ ერთხელ ადასტურებს ანგარიშში გამოთქმულ ეჭვებს სახელმწიფო ბრალდების მიზანზე, რომელლიც კონკრეტული პირის მაქსიმალურად ხანგრძლივი ვადით პატიმრობაში დატოვებას წარმოადგენდა. აღნიშნული ქმედება ცალსახად ნეგატიურად აისახება გახმაურებულ საქმეებზე და მათ პოლიტიკურ ელფერს მატებს. მსგავსი ქმედებებით კიდევ ერთხელ მნიშვნელოვანი ზიანი ადგება ბრალდების იმიჯსა და რეპუტაციას. საბოლოო ჯამში პროკურატურის, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის სტატუსი, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ გაიმართა საპროტესტო აქციები, როგორც სასამართლოს შენობასთან, ასევე ზოგიერთი მოსამართლის საცხოვრებელ სახლთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ [განცხადება](#) გაავრცელა, სადაც მიუთითებდნენ, რომ ხორცილდებოდა მიზანმიმართული ზეწოლა საკონსტიტუციო სასამართლოზე და ინდივიდუალურად მოსამართლეებზე. განცხადებაში ასევე აღნიშნული იყო, რომ მოსამართლეთა მიმართ კეთდებოდა მუქარის შემცველი განცხადებები და ფიზიკური ანგარიშსწორების პირდაპირი მოწოდებები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებისა და მისი კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში განხორციელების, კონსტიტუციით აღიარებულ და გარანტირებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, სახელმწიფოში სახელისუფლო სტაბილურობის განმტკიცებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მოსამართლეთა უსაფრთხოება და ღირსების დაცვა, ისე რომ არ მოხდეს სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შელახვა.

სამწუხაროა ასევე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გიგი უგულავას [სარჩეოზე](#), მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, რომელიც საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს ეფუძნებოდა, პოლიტიკოსების მხრიდან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დისკრედიტაციისაკენ [მიმართული განცხადები](#) არაერთხელ გაჟღერდა.

გარდა ამისა, საერთო სასამართლოში გიგი უგულავას მიმდინარე საქმესთან დაკავშირებითაც კეთდებოდა [განცხადებები](#) მოსამართლის მიერ შესაძლო მისაღებ გადაწყვეტილების შინაარსთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ მმართველი კოალიციის თანამდებობის პირების მხრიდან მსგავსი ქმედებები შეიძლება აღქმული ყოფილიყო როგორც გარკვეული სახის „ინსტრუქცია“ მოსამართლისათვის თუ რა შინაარსის გადაწყვეტილება იქნებოდა მისაღები უმრავლესობისათვის. ამასთან, მსგავსი ქმედებებით უხეშად ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია. საბოლოო ჯამში ყოველივე ეს უარყოფითად აისახება ქვეყნის იმიჯზე და მისი ინსტიტუტების სრულ დისკრედიტაციას ახდენს.

მოსამართლეთა მიმართ განხორციელებულ ზეწოლის ფაქტებს [გამოეხმაურა](#) ვენეციის კომისიის პრეზიდენტი და აღნიშნა, რომ საზოგადოებას აქვს უფლება ჰქონდეს კრიტიკული დამოკიდებულება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიმართ. თუმცა ამგვარი კრიტიკა გამოხატული უნდა იქნას ღირსეული და სამართლებრივი ფორმით.

მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკოსებმა, პატივი სცენ საქართველოში დემოკრატიულ ინსტიტუტებს და თავი შეიკავონ როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების, ასევე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ ისეთი განცხადებების გავრცელებისაგან, რაც საფრთხეს შეუქმნის მათი და მთლიანად სასამართლო სისტემის მიუკერძოებელ და ეფეტურ საქმიანობას. ასევე უნდა მოხდეს გამოძიება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებაში მითითებული მოსამართლეებზე ზეწოლის ფაქტების შესახებ და დადგეს ამ ქმედებებში ჩართული პირების პასუხისმგებლობის საკითხი. საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობისა და რეპუტაციისთვის არსებითია ყველა სახელმწიფო ინსტიტუტმა გააცნობიეროს მისი მნიშვნელობა და როლი ქვეყნის სამართლებრივი

სტაბილურობისთვის. ამასთან, საჭიროა თავად სასამართლომ და ინდივიდუალურმა მოსამართლეებმა უზრუნველყონ სასამართლოს ფუნქციონირება პოლიტიკური და სხვა არასათანადო გავლენებისგან თავისუფალ გარემოში.



ანგარიში მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს Sida-ს პოზიციას და ის არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.